*საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)*

# 2019 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა

**დამტკიცებულია:**

ბაფის განათლების კომიტეტი

(სხდომის ოქმი 13.08.2019)

**აღიარებულია:**

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის,

ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ

(ბრძანება #677,06/09/2019; SARAS-CPD-007/19)

**პროგრამის შედგენის საფუძვლები**

წინამდებარე განგრძობითი განათლების პროგრამა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს #ნ-13 ბრძანებით დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის" საფუძველზე და გამოიყენება აუდიტორების/სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლებისთვის.

პროგრამა ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის" მე-16 მუხლის მოთხოვნებს, მოიცავს 32 საათიან სემინარებს და შემდეგნაირად ნაწილდება:

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები **12 საათი;**
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები **10 საათი;**
3. აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკური შესაძლებლობები **4 საათი;**
4. საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები **6 საათი.**

## პროგრამის აღწერა

1. **პროგრამის დასახელება -** განგრძობითი განათლება

2. **პროგრამის ნომერი -** CPD/GFPAA/2019

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება

4. **პროგრამის მოცულობა** –32 საათი

5. **პროგრამის საფუძველი:** „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი

6. **სწავლების ენა** - ქართული

7. **პროგრამის ხელმძღვანელი:** კონსტანტინე დათიაშვილი - ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე

8. **პროგრამის მიზანი:** განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში

9. **სწავლის შედეგები:** სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმაოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს: ტექნიკური კომპეტენციებს, კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; პროფესიულ უნარებს, რომლებიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტერის პროფესიული კომპეტენცია

10. **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** ლექცია; პრაქტიკულ სიტუაციურ მაგალითებზე მსჯელობა: დისკუსია-დებატები; წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით, რომელიც წარმოდგენილი იქნება სწავლების დროს. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა.

11. **პროგრამის სასწავლო კურსი სტრუქტურა და ნომერი:**

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები - CPD/GFPAA/2019/01;

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდრტები - CPD/GFPAA/2019/02;

აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკური შესაძლებლობები - CPD/GFPAA/2019/03;

საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები - CPD/GFPAA/2019/04.

## პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

### 1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

### პროგრამა 1.1.  ეთიკის კოდექსი

| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | **ეთიკის კოდექსი** | *პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2019/01 |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| 3 საათი | თემა:<br>1. ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს უფლებამოსილება, მიზანი და შემადგენლობა;<br>2. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის როლი;<br>3. 2016 წელს გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელოში შესული ცვლილებები;<br>4. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის გზამკლევი: კოდექსის გამოყენების ძირითადი პრინციპები<br>5. პროფესიონალი ბუღალტრები ბიზნესში;<br>6. საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები;<br>7. დამოუკიდებლობის მნიშვნელობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებში;<br>8. დამოუკიდებლობის მნიშვნელობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებების გარდა სხვა მარწმუნებელი გარიგებებისთვის. | |
| *სასწავლო კურსის ფორმატი* | სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს მიაწვდის სალექციო მასალას და განიხილავს პრაქტიკულ მაგალითებს. ლექციის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. | |
| *სასწავლო კურსის მიზანი* | სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის პროფესიონალი ბუღალტრე-ბის ეთიკის კოდექსის და მასში შესული ცვლილებების შესახებ ინფორ-მაციის მიწოდება, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიო-ნალი ბუღალტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გაცნობა და დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარება. | |
| *სწავლების შედეგები* | გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე პროფესიონალი ბუღალ-ტრების ეთიკის კოდექსის შესახებ;<br>მსმენელებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ბუღალტერმა/აუდიტორმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. | |

| *სწავლის ერთეულის ოდენობა* | | |
|---|---|---|
| *თეორიული ნაწილი (ლექცია) და*<br>*პრაქტიკული მაგალითები*<br>*კითხვა-პასუხის რეჟიმი* | 3 სთ | მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც. |

| *სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი* |
|---|
| *ძირითადი ლიტერატურა* |
| 1. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის- 2018 წლის გამოცემა<br>2. ACCA-ს სასერთიფიკატო პროგრამის სახელმძღვანელო - *წიგნი P7 აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)* |
| *დამხმარე ლიტერატურა და მასალები* |
| 1. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია<br>2. ამერიკის ინსტიტუტის სერტიფიცირებული საჯარო აუდიტორის ხარისხის კონტროლის სტანდარტები - „Becker“ გამომცემლობა<br>3. საჯარო სექტორის აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები (ISSAI) |

| *სწავლების ენა* | ქართული |
|---|---|

| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
|---|---|
| *სახელი, გვარი* | გვანცა ცუცქირიძე |
| *უმაღლესი განათლება* | 1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტ-რირების ბაკალავრი<br>2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრი<br>3. ACCA-ს სერთიფიკატი |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global-ის წევრი) სენიორ აუდიტორი.<br>2. 2018 წლის მარტიდან - ივნისამდე - აუდიტორული ფირმის „იუაი“ ვილნიუსის ოფისში (EY Global -ის წევრი) მიწვეული სპეციალისტი (მობილობის პროგრამის ფარგლებში);<br>3. შიდა აუდიტის 1 წლიანი გამოცდილება ჯანდაცვის სისტემაში. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 593 990 590, e-mail: gvantsa.tsutskiridze@ge.ey.com |

## პროგრამა 1.2: აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები

| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემაში არსებული ცდომილებები | *პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2019/01 |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| 6 საათი | თემა:<br>1. აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა;<br>2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, რომლის გადაც-დომასაც სისტემატიური ხასიათი ჰქონდა;<br>3. აუდიტის ზოგადი პრინციპები და და პასუხისმგებლობა: ასს 200, ასს 220, ასს 230, ასს 240 და ასს 260;<br>4. არსებითობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები: ასს 300, ასს 315 და ასს 320;<br>5. აუდიტორული მოსაზრებები სამეურნეო სუბიექტის მიერ მომსახურე ორგანიზაციის გამოყენებაზე - ასს 402;<br>6. აუდიტორული მტკიცებულება - ასს 500, ასს 501, ასს 505, ასს 510, ასს 520, ასს 550, ასს 560, ასს 570 და ასს 580;<br>7. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება - ასს 600;<br>8. აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს გამოყენება - ასს 620;<br>9. ხკსს 1 - ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის და სხვა სახის მარწმუ-ნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს;<br>10. აუდიტორული პროცედურები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებით. | |
| *სასწავლო კურსის ფორმატი* | სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. სემინარზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. | |
| *სასწავლო კურსის მიზანი* | სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს მსმენელებს აუდიტის სტანდარტების უკეთ აღქმაში და სხვადასხვა აუდიტორული ფირმების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღებაში. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა საშუალებას მისცემს მსმენელებს, რომ წინასწარ გაითვალისწინონ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას პრევენცია გაუკეთონ აღნიშნულ რისკებს. | |
| *სწავლების შედეგები* | პროფესიული საქმიანობის განმახორციებელ პირთა გადამზადება საქართ-ველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლოს კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. | |

<table>
<tr><td colspan="3">სწავლის ერთეულის ოდენობა</td></tr>
<tr><td>ლექცია<br>პრაქტიკული</td><td>6 სთ</td><td>მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.</td></tr>
<tr><td colspan="3">სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი</td></tr>
<tr><td colspan="3"><u>ძირითადი ლიტერალურა</u></td></tr>
<tr><td colspan="3">1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზების სახეები;<br>2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;<br>3. (ხკსს) 1 – ხარისხის კონტროლი აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს.</td></tr>
<tr><td colspan="3"><u>დამხმარე ლიტერატურა</u></td></tr>
<tr><td colspan="3">1. ACCA-ს სასერთიფიკატო პროგრამის სახელმძღვანელოები<br>2. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა<br>3. ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი</td></tr>
<tr><td>სწავლების ენა</td><td colspan="2">ქართული</td></tr>
<tr><td colspan="3">ინფორმაცია ლექტორის შესახებ</td></tr>
<tr><td>სახელი, გვარი</td><td colspan="2">ნანა ღვალაძე</td></tr>
<tr><td>უმაღლესი განათლება</td><td colspan="2">1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი;<br>2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი;<br>3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი.</td></tr>
<tr><td>პრაქტიკული გამოცდილება</td><td colspan="2">1. 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) ანგარიშგების, საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და ანგარიშგების მომსახურების მენეჯერი;<br>2. 2018 წლიდან - აუდიტორული ფირმისიუაი- ს (EY Global -ის წევრი) პროფესიული ტრენინგების კოორდინატორი;<br>3. 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;<br>4. 2014 წლიდან - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი აუდიტორის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა აუდიტის სტანდარტში;<br>5. 2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი  (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი.</td></tr>
<tr><td>საკონტაქტო ინფორმაცია</td><td colspan="2">მობ: 593 98 20 21;   e-mail:   nana.ghvaladze@ge.ey.com</td></tr>
</table>

| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
|---|---|
| *სახელი, გვარი* | თამთა ელიზბარაშვილი |
| *უმაღლესი განათლება* | 1. შავი ზღვის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი<br>2. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 2015 წლიდან - დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი" (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების სენიორ აუდიტორი;<br>2. 2012 – 2015 წლამდე - საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის რაკია ფინანსური მენეჯერი |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 557 222 062; e-mail: tamta.elizbarashvili@gmail.com. |

### პროგრამა 1.3: ასს 700 - მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ | *პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2019/01 |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| 3 საათი | თემა:<br>1. ასს 700-ის, 705 და ასს 800 მოქმედების სფერო;<br>2. მოსაზრების ჩამოყალიბება ფინანსურ ანგარიშგებაზე;<br>3. მოსაზრების ფორმა;<br>4. აუდიტორის დასკვნა;<br>5. ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილი დამატებითი ინფორმაცია;<br>6. სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პრაქტიკის ხარისხობრივი ასპექტები;<br>7. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების აღწერა;<br>8. გარემოებები, როდესაც აუცილებელია აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება;<br>9. აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირების ტიპის განსაზღვრა;<br>10. აუდიტორის დასკვნის ფორმა და შინაარსი მოსაზრების მოდიფიცირების შემთხვევაში;<br>11. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება;<br>12. მოდიფიცირებული მოსაზრებების ტიპები;<br>13. გარემოებები, როდესაც აუცილებელია აუდიტორის მოსაზრების | |

| | |
|---|---|
| | მოდიფიცირება;<br>14. აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირების ტიპის განსაზღვრა;<br>15. აუდიტორის დასკვნის ფორმა და შინაარსი მოსაზრების მოდიფიცირების შემთხვევაში;<br>16. გარიგებაზე დათანხმებისას გასათვალისწინებელი საკითხები;<br>17. აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარებისას გასათვალისწინებელი საკითხები;<br>18. მოსაზრების ჩამოყალიბებისა და დასკვნის შედგენისას გასათვალისწინებელი საკითხები;<br>19. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სპეციალური დანიშნულების საფუძვლების განმარტება;<br>20. გარიგებაზე დათანხმებისას გასათვალისწინებელი საკითხები;<br>21. აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარებისას გასათვალისწინებელი საკითხები;<br>22. მოსაზრების ჩამოყალიბებისა და დასკვნის შედგენისას გასათვალისწინებელი საკითხები. |
| *სასწავლო კურსის ფორმატი* | სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. სემინარზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. |
| *სასწავლო კურსის მიზანი* | სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სტანდარტით მოთხოვნილი სავალდებულო პროცედურების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ და ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება. |
| *სწავლების შედეგები* | პროფესიული საქმიანობის განმახორციებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის" მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| *სწავლის ერთეულის ოდენობა* | | |
| *ლექცია*<br>*პრაქტიკული* | 3 სთ | მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც. |
| *სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი* | | |
| *ძირითადი ლიტერალურა* | | |
| 1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები | ასს 700<br>ასს 705<br>ასს 800 | 1. მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ<br>2. მოსაზრების მოდიფიციება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში<br>3. სპეციალური დანიშნულების საფუძვლების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი |

| *დამხმარე ლიტერატურა* | |
|---|---|
| 1. ACCA-ს სასერთიფიკატო პროგრამის სახელმძღვანელო<br>2. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა<br>3. ამერიკის ინსტიტუტის სერტიფიცირებული საჯარო აუდიტორის აუდიტის სტანდარტები - „Becker“ გამომცემლობა | |
| *სწავლების ენა* | ქართული |
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
| *სახელი, გვარი* | ლევან დაშნიანი |
| *უმაღლესი განათლება* | 1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;<br>2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრო ქარხნების მშენებლობის მაგისტრი. |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 2014 წლიდან - დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების ასისტენტ მენეჯერი;<br>2. 2018 წლიდან - დღემდე - კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი;<br>3. 2012 წელს - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დეველოპერი. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 557 73 03 95; e-mail: Levandashniani@gmail.com |

## პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

### 2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)

**პროგრამა 2.1: ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

| | | |
|---|---|---|
| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | ფინანსური ინსტრუმენტები | *პროგრამის ნომერი*<br>CPD/GFPAA/2019/02 |
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| 6 საათი | თემა:<br>1. ფასს 9-ის მიმოხილვა: სტანდარტის მიზანი, მოქმედების სფერო და ძირითადი მოთხოვნები;<br>2. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება და აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები;<br>3. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება;<br>4. ფინანსური ინსტრუმენტების შეჯიბრების პრინციპები;<br>5. გაუფასურების ახალი მოდელის აღწერა;<br>5.1. ფასს 9 - ის გაუფასურების მოდელის მიმოხილვა: მიზანი, მოქმედების სფერო, ძირითადი პრინციპები;<br>5.2. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შეფასების სამი საფეხური;<br>5.3. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;<br>5.4. საკრედიტო ზარალის შეფასების ინდივიდუალური და კოლექტიური მიდგომა;<br>5.5. სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა (Default);<br>6. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები;<br>7. პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა;<br>8. მოსალოდნელი სირთულეები სტანდარტის დანერგვის განმავლობაში. | |
| *სასწავლო კურსის ფორმატი* | სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. სემინარზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. | |
| *სასწავლო კურსის მიზანი* | სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიაწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი სავალდებულო პროცედურების და დამკვიდ-რებული პრაქტიკის შესახებ და ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება. | |
| *სწავლების შედეგები* | პროფესიული საქმიანობის განმახორციებელ პირთა გადამზადება საქარ-თველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრ-ძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძ-ლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. | |

| | | |
|---|---|---|
| *სწავლის ერთეულის ოდენობა* | | |
| *ლექცია*<br>*პრაქტიკული* | 6 სთ | მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შე-საძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც. |
| *სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი* | | |
| *ძირითადი ლიტერალურა* | | |
| 1. ფასს 9- ფინანსური ინსტრუმენტები | | |
| *დამხმარე ლიტერატურა* | | |
| 1. ACCA-ს სასერთიფიკატო პროგრამის სახელმძღვანელო<br>2. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა | | |
| *სწავლების ენა* | ქართული | |
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | | |
| *სახელი, გვარი* | ნოდარ კვირაია | |
| *უმაღლესი განათლება* | საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global-ის წევრი) საბანკო და საფინანსო სფეროს სენიორ აუდიტორი | |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 555 39 78 74 e-mail: nodar.kviraia@ey.com | |

**პროგრამა 2.2: ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება/ ფასს 10- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

| | | |
|---|---|---|
| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | საწარმოთა გაერთიანება;<br>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; | *პროგრამის ნომერი*<br>CPD/GFPAA/2019/02 |
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| 4 საათი | **თემა: საწარმოთა გაერთიანება**<br>1. სტანდარტების მოქმედების სფერო;<br>2. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია;<br>3. შეძენის მეთოდები;<br>4. გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარება და შეფასება;<br>5. ცალკეული შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება;<br>6. შეძენილი საწარმოს ცალკეული იდენტიფიცირებადი აქტივებისა და არამაკონტროლებელი წილის შეფასება; | |

<table>
<tr><td></td><td colspan="2">თემა: კონსოლიდაცია<br>1. კონსოლიდაცია;<br>2. კონტროლი;<br>3. საინვესტიციო საწარმოები;<br>4. კონსოლიდაციისგან განთავისუფლება.</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის ფორმატი</td><td colspan="2">სემინარის წარიმართბა ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. სემინარზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი.</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის მიზანი</td><td colspan="2">სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება სტანდარტით მოთხოვნილი სავალდებულო პროცედურებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ; ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.</td></tr>
<tr><td>სწავლების შედეგები</td><td colspan="2">გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.</td></tr>
<tr><td colspan="3">სწავლის ერთეულის ოდენობა</td></tr>
<tr><td>ლექცია<br>პრაქტიკული</td><td>2 სთ<br>2 სთ</td><td>საწარმოთა გაერთიანება;<br>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;</td></tr>
<tr><td>სულ საათების რაოდენობა</td><td>4 სთ</td><td>მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.</td></tr>
<tr><td colspan="3">სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი</td></tr>
<tr><td colspan="3"><u>ძირითადი ლიტერალურა</u></td></tr>
<tr><td>ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები</td><td>ფასს 3<br>ფასს 10</td><td>საწარმოთა გაერთიანება<br>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება</td></tr>
<tr><td colspan="3"><u>დამხმარე ლიტერატურა</u></td></tr>
<tr><td colspan="3">1. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა<br>2. ამერიკის ინსტიტუტის სერტიფიცირებული საჯარო აუდიტორის აუდიტის სტანდარტები - „Becker“ გამომცემლობა</td></tr>
<tr><td>სწავლების ენა</td><td colspan="2">ქართული</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
| *სახელი, გვარი* | გვანცა ცუცქირიძე |
| *უმაღლესი განათლება* | 1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;<br>2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულ-ტეტის მაგისტრი;<br>3. ACCA -ს სერთიფიკატი. |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის „იუაი" (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი;<br>2. 2018 წლის მარტიდან - ივნისამდე - აუდიტორული ფირმის „იუაი" ვილნი-უსის ოფისში (EY Global-ის წევრი) მიწვეული სპეციალისტი (მობილობის პროგრამის ფარგლებში);<br>3. შიდა აუდიტის 1 წლიანი გამოცდილება ჯანდაცვის სისტემაში. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 593 990 590, e-mail: gvantsa.tsutskiridze@ge.ey.com |

| | |
|---|---|
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
| *სახელი, გვარი* | ლევან დაშნიანი |
| *უმაღლესი განათლება* | 1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;<br>2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრო ქარხნების მშენებლობის მაგისტრი. |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 2014 წლიდან - დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი" (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების ასისტენტ მენეჯერი;<br>2. 2018 წლიდან - დღემდე - კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი;<br>3. 2012 წელს - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დეველოპერი. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 557 73 03 95; e-mail: Levandashniani@gmail.com |

## პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

### 3. აუდიტის  ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკური შესაძლებლობები

**პროგრამა 3.1.  აუდიტორული პროცედურები აუდიტის პროგრამის გამოყენებით**

<table>
<tr><td>სასწავლო პროგრამის დასახელება</td><td>აუდიტორული პროცედურები პროგრამა E-dok-ის გამოყენებით</td><td>პროგრამის ნომერი<br>CPD/GFPAA/2019/03</td></tr>
<tr><td colspan="3">სასწავლო კურსის თემატიკა</td></tr>
<tr><td>4 საათი</td><td colspan="2">თემა:<br>1. პროგრამის ფუნქციური შესაძლებლობების ზოგადი აღწერა<br>• აუდიტის მეთოდოლოგიის მორგება<br>• გამოვლენილი უზუსტობების შეფასება, აკუმულირება და შესწორების კონტროლი;<br>• აუდიტორული შერჩევის ჩატარება კონტროლის ტესტის და ელემენტების ტესტის ჩასატარებლად;<br>• არსებითობის განსაზღვრა;<br>• დავალებების შაბლონების დაპროექტება და შაბლონური სამუშაო დოკუმენტების მიმაგრება;<br>• საცდელი ბალანსის ან ფინანსური ანგარიშგების პროექტის იმპირტი და მათზე უზუსტობების გავლენის გადაანგარიშება;<br>• კონტროლი აუდიტის პროცესის მიმდინარეობაზე;<br>• დახარჯული დროის მანუალური აღრიცხვა პროექტების და პერსონალის ჭრილში.<br>2. პროგრამის ადმინისტრირება<br>• შიდა და გარე მომხმარებლების რეგისტრაცია<br>• კლიენტის რეგისტრაცია და პროექტის შექმნა<br>• პროექტის დავალების შექმნა ან/და ჩამოტვირთვა შაბლონიდან ან კლიენტის არსებული დაარქივებულლი პროექტიდან<br>3. რისკი მტკიცების დონეზე<br>• იდენტიფიცირებული არსებითი და რისკის გავლენის ქვეშ მყოფი მუხლებისათვის აუცილებელი მტკიცებების დადგენა;<br>• საპასუხო აუდიტორული მიდგომების განსაზღვრა.<br>4. შედეგების შეჯამება (რეზიუმირება)<br>• შეუსწორებელი უზუსტობების ნუსხის დათვალიერება-განსჯა<br>• დასკვნის ტიპის დოკუმენტირება<br>• დაარქივებისთვის მომზადება</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის ფორმატი</td><td colspan="2">სემინარის წარიმართება ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი, ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, მსმენელებს გაუზიარებს ინფორმაციას პროგრამის ფუნქციური შესაძლებლობის და პროგრამაში აუდიტორული ფირმის მეთოდოლოგიისა და სამუშაო დოკუმენტების ინტეგრირების შესახებ. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის მიზანი* | სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად პროგრამის პრაქტიკული გამოყენების შესახებ და, ასევე, პროგრამაში აუდიტის სამუშაო დოკუმენტის მიმაგრების გამოცდილების გაზიარება. | |
| *სწავლების შედეგები* | პროფესიული საქმიანობის განმახორციებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. | |
| *სწავლის ერთეულის ოდენობა* | | |
| *ლექცია*<br>*პრაქტიკული* | 4 სთ | მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც. |
| *სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი* | | |
| *<u>ძირითადი ლიტერალურა</u>* | | |
| პროგრამა E-dok -ის გამოყენების სახელმძღვანელო | | |
| *<u>დამხმარე ლიტერატურა</u>* | | |
| ლექტორის მიერ მომზადებული საპრეზენტაციო მასალა<br><u>HAT - აუდიტის სახელმძღვანელო</u> | | |
| *სწავლების ენა* | ქართული | |
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | | |
| *სახელი, გვარი* | რევაზ ძაძამია | |
| *უმაღლესი განათლება* | საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, ეკონომიკის დოქტორი | |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | 1. 1982 წლიდან - 2003 წლამდე - საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორი ბუღალტრულ აღრიცხვაში;<br>2. 2010 წლიდან - 2015 წლამდე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრატურის ლექტორი;<br>3. 1996 წლიდან - დღემდე - აუდიტორი, შპს „კონსაუდის“ დირექტორი-პარტნიორი;<br>4. 2004 წლიდან - დღემდე - შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ დირექტორი. | |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 599 28 04 06 e-mail: r.dzadzamia@consaudi.ge | |

## პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

### 4. საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებები

**პროგრამა 4.1. საკანონმდებლო ცვლილებები**

| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | **საკანონმდებლო ცვლილებები** | *პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2019/04 |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| *3 საათი* | თემა:<br>1. ცვლილებები საქართველოს კერძო ბიზნესის სფეროში არსებული მარეგულირებელი ნორმების შესახებ, რამაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებაზე. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად და გაანალიზებული იქნება 2018-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებსა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე.<br>2. სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, ასეთი ძირითადი ცვლილებები შესაძლოა იყოს:<br>• კანონპროექტის პაკეტი: „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ (მათ შორის, ამ საკითხთან დაკავშირებული კანონპროექტი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“);<br>• საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;<br>• 2019 წლის იანვრის ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება განვადებით ნასყიდობის, ლიზინგისა და სესხის გაცემის საკითხებს;<br>• საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ 200,000 ლარამდე სესხის/ საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ;<br>• საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე“;<br>• საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 ბრძანება „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ“.<br>• ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში - შრომის კოდექსში;<br>• ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექ- | |

<table>
<tr><td></td><td colspan="3">ტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება;<br>• „სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება;<br>• „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი;<br>• „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი;<br>• საქართველოს მთავრობის N 335 დადგენილება ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე.</td></tr>
<tr><td>სასწავლო<br>კურსის ფორმატი</td><td colspan="3">სემინარის წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და განიხილავენ პრაქტიკულ მაგალითებს. სემინარის მსვლელობისას წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი.</td></tr>
<tr><td>სასწავლო<br>კურსის მიზანი</td><td colspan="3">სასწავლო კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება კერძო სექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და იმ გამოწვევების შესახებ, რაც აუცილებელია აუდიტორების პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი.</td></tr>
<tr><td>სწავლების<br>შედეგები</td><td colspan="3">გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე ბიზნეს სამართლის შესახებ. სემინარის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია ბიზნეს სამართალში შესული ცვლილებების შედეგად. აღნიშნული კი საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური აუდიტის ჩატარების შემდგომ აუდიტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე.</td></tr>
<tr><td colspan="4">სწავლის ერთეულის ოდენობა</td></tr>
<tr><td colspan="2">თეორიული ნაწილი (ლექცია)<br>და პრაქტიკული მაგალითები<br>კითხვა-პასუხის რეჟიმი</td><td>3 სთ</td><td>მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.</td></tr>
<tr><td colspan="4">სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| *ძირითადი ლიტერატურა* | |
| 1. ამონარიდები მთავრობის დადგენილებიდან<br>2. სიტუაციური სახელმძღვანელოები<br>3. ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან (მათ შორის: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები) | |
| *დამხმარე ლიტერატურა და მასალები* | |
| 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი<br>2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ | |
| *სწავლების ენა* | ქართული |
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
| *სახელი, გვარი* | ელენე სულხანიშვილი |
| *უმაღლესი განათლება* | ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა/ Chicago-Kent College of Law, IIT (ჩიკაგო, აშშ), მაგისტრის ხარისხი (11/08/2014 – 15/05/2015).<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), ბაკალავრის ხარისხი (2010 – 2014 წლები). |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | შპს „იუაის“ უფროსი იურისტი - 2017 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე;<br>შპს „იუაის“ ტრენერი ტრენინგის თემაზე: „შრომის სამართლის სტრატეგიული საკითხები და რისკები“;<br>შპს „იუაის“ ტრენერი ტრენინგის თემაზე: საპენსიო რეფორმა;<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 2016 წლის სექტემბრიდან დღემდე:<br>▪ სემინარი, შესავალი კერძო სამართალში;<br>▪ სემინარი, სახელშეკრულებო სამართალი;<br>▪ სემინარი, შესავალი ვალდებულებით სამართალში;<br>▪ სემინარი, სანივთო სამართალი;<br>▪ სემინარი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი;<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 01/2017 – 01/2018:<br>▪ სემინარი, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში;<br>შპს „იუაის“ იურისტი - 01/12/2015 – 01/10/2017;<br>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული ლექტორი - 09/2016 – 01/2017:<br>▪ სემინარი, შესავალი ვალდებულებით სამართალში;<br>ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის კვლევითი ასისტენტი - 05/01/2015 – 29/05/2015;<br>საერთაშორისო საადვოკატო ფირმა დეკერტის / Dechert LLP (ჩიკაგო, აშშ) პრაქტიკანტი - 08/2014 – 09/2014;<br>შპს „არსის“ იურისტი - 2011 წლის სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრამდე. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 599 13 53 63; e-mail: elene.sulkhanishvili@ge.ey.com |

**პროგრამა 4.2. საგადასახადო ცვლილებები**

| *სასწავლო პროგრამის დასახელება* | **საგადასახადო ცვლილებები** | *პროგრამის ნომერი*<br>CPD/GFPAA/2019/04 |
|---|---|---|
| *სასწავლო კურსის თემატიკა* | | |
| *3 საათი* | **თემა:**<br>2018 და 2019 წლის 1 სექტემბრამდე განხორცელებული/განსახორციელებელი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში, ასევე სხვა დაკავშირებულ ბრძანებებში/ინსტ-რუქციებში/სიტუაციურ სახელმძღვანელოებში.<br>მათ შორის ცვლილებები:<br>1. გადასახადის გადამხელთა კატეგორიები;<br>2. საკონსტიტუციო სასასმართლოს გადაწყვეტილება ქონების გადასახადის შემოწმების წესებთან მიმართებაში და შესაბამისი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში;<br>3. მოგების გადასახადის დასაბეგრი ბაზის ცვლილება საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდების ნაწილში;<br>4. ცვლილებები საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, ხელფასთან გათანაბრებული განაცემების ბაზის ცვლილება;<br>5. საერთაშორისო კომპანია და მასთან დაკავშირებული რეგულაციები;<br>6. ფარმაცევტული საწარმო და მასთან დაკავშირებული რეგულაციები;<br>7. ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების გამარტივებული წესები;<br>8. ცვლილებები 151-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათებში - წილის სანაცვლოდ აქტივების მიწოდება;<br>9. შეღავათები საგადასახადო ჯარიმების ნაწილში;<br>10. დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია;<br>11. სავარაუდო დარიცხვის ცნება და მისი მოქმედების წესები;<br>12. ცვლილებები/დაზუსტებები დღგ-ს ჩათვლის წესებში სხვადასხვა ტიპის ჩათვლის დოკუმენტების შესაბამისად;<br>13. დღგ-ს ახალი კარის პროექტის მიმოხილვა. ძირითადი განსხვავებები ძველ წესებთან და მათი შესაძლო გავლენა კომპანიის საგადასახადო ვალდებუ-ლებებზე. | |
| *სასწავლო კურსის ფორმატი* | სემინარი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. სემინარზე მოხდება 2018-2019 წლებში საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. სემინარზე განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ელექტრონული ვერსიები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სასწავლო მასალები, დამსწრეებს მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით. | |
| *სასწავლო კურსის* | სასწავლო კურსის მიზანია სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას მსმენელებს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული უახლესი ცვლილებებისა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *მიზანი* | და იმ გამოწვევების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია აუდიტორების პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი. რაც რეალურად არსებობს და მეტისმეტად მაღალია პროფესიული საქმიანობის ცვლილებებისა და საკანონ-მდებლო სიახლეების ზედმიწევნით შესწავლის გარეშე წარმართვის შემთხვევაში. | | |
| *სწავლების შედეგები* | გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე საგადასახადო დაბეგვრის სფეროში არსებულ საკითხებზე. სემინარის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რასაც გამოიწვევს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები. აღნიშნული საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ფინანსური აუდიტის ჩატარების შემდგომ აუდიტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. | | |
| *სწავლის ერთეულის ოდენობა* | | | |
| *საგადასახადო ცვლილებები:*<br><br>*ლექცია და სიტუაციური მაგალითები* | 3 სთ | მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც. | |
| *სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი (ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტ ბმულის მეშვეობით, ელექტრონული სახით)* | | | |
| ***ძირითადი ლიტერატურა*** | | | |
| 1. ნორმები საგადასახადო კოდექსიდან<br>2. სიტუაციური სახელმძღვანელოები<br>3. ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან (მათ შორის: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები) | | | |
| ***დამხმარე ლიტერატურა და მასალები*** | | | |
| 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი<br>2. ფინანსთა მინისტრის ბრძანებები<br>3. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია<br>4. პრაქტიკული ამოცანები და სხვა სასწავლო მასალები | | | |
| *სწავლების ენა* | ქართული | | |

| | |
|---|---|
| *ინფორმაცია ლექტორის შესახებ* | |
| *სახელი, გვარი* | სალომე ქარჩხაძე |
| *უმაღლესი განათლება* | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი - ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა: ფინანსები და საბანკო საქმე. |
| *პრაქტიკული გამოცდილება* | სსიპ შემოსავლების სამსახური, აუდიტის დეპარტამენტი, უფროსი აუდიტორი - 2013 წლამდე. |

| | |
|---|---|
| | შპს „იუაი“, საგადასახადო კონსულტანტი 2013 -2017 წლები.<br>შპს „იუაი“, საგადასახადო მენეჯერი 2017 წლიდან დღემდე.<br>შპს „იუაი“ ტრენერი შემდეგ ტრენინგებზე:<br>2016წ - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, ტრენინგი კერძო კომპანიების დაკვეთით.<br>2016წ. - მოგების გადასახადის ახალი მოდელის აქტუალური/პრობლემური საკითხები, ტრენინგი კერძო კომპანიების დაკვეთით.<br>2017წ. - სიფა (საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია) -ცვლილებები საგადასახადო კოდექსში.<br>2017წ. - საგადასახადო ცვლილებები და მათი პრაქტიკული მაგალითები, ტრენინგი კომპანიის კლიენტებისთვის.<br>თავისუფალი უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი - საგადასახადო სამართლის პრაქტიკული კურსი - 2017 წლის იანვრიდან დღემდე. |
| *საკონტაქტო ინფორმაცია* | მობ: 577 05 88 40; e-mail: salome.karchkhadze@ge.ey.com |